ეროვნული
ბიბლიოთეკა

№ 10 (1332) მაისი 1970

ნიანგი

გამოცემის 47-ე წელი ფასი 20 კაპ.

— რას ერჩით ამ ძროხას?
— რაიონული ცენტრიდან ირმებზე სანადიროდ მოდიან.
ირმები გაგვითავდა და, იქნებ, ძროხა შევაპაროთ როგორმე!

ქალაქელი ქალაქელებს

თქვენ ღმერთმა გაშოროთ და, პირადად მე, იოტისოდენა სურვილიც არ გამაჩნია გარდაცვალებისა. არა მარტო იმისათვის, რომ სიკვდილი, საერთოდ, არასასიამოვნო მოვლენაა, რომელიც ამ ქვეყნიდან წარგვავლენს ხოლმე, არამედ იმიტომაც, რომ, როგორც ქვემოთ დავრწმუნდებით, მიცვალებულის დაკრძალვა-გაპატიოსნება მრავალ უპატიოსნო ღონისძიებასთანაა დაკავშირებული. სიკვდილისადმი ჩემი შეურიგებლობის მთავარი მიზეზი მაინც ის გახლავთ, რომ დაკრძალვაზე გაწეული ხარჯები, რომლის ფასი ზოგიერთ მიცვალებულს სიცოცხლეში არა გაუკეთებია რა, არამც თუ არაფერს მატებს განსვენებულს, მისი სახელის შებღალვის პირობებს ქმნის. აქედან გამომაქვს დასკვნა: არავითარ შემთხვევაში არ იარსებებდა ქელეხი, ის რომ მიცვალებულის პატივსაცემად ყოფილიყო გამიზნული. ისმის კითხვა: რა არის საჭირო ქელეხის მოსპობისათვის? მხოლოდ და მხოლოდ სიკვდილიანობის მოსპობა! აი, დევიზი, რომლის განხორციელებაში მე ჩემი წვლილი შემაქვს და არ ვკვდები. ამასვე გისურვებთ თქვენც.

ახლა მივყვეთ საქმეს.

იმის ნათელსაყოფად, რომ სიკვდილი, საყვარელი ადამიანის დაკარგვასთან ერთად, უზომო დროისა და ფულის დაკარგვასთანაცაა დაკავშირებული, სიკვდილიანობის პრაქტიკიდან მოვიყვან ერთ ცოცხალ ფაქტს:

ოჩამჩირის რაიონში არის სოფელი გუფი. გუფში არსებობს კოლმეურნეობა „აფსნი“. „აფსნში“ 470 კოლმეურნის ოჯახი ცხოვრობს. (ღმერთმა დიდხანს აცხოვროს და აცოცხლოს ისინი!) ჰოდა, ამ სოფელში სტატისტიკური მონაცემებით გასულ, 1969 წელს, სიკვდილის 16 შემთხვევას ჰქონდა ადგილი.

ქელეხმა თქვა: სახელი ჩემია და სახრავი ლხინისაო. აქაც თექვსმეტივე შემთხვევაზე თექვსმეტი ქელეხი-ლხინი ჩატარდა. მაგრამ ქელეხისა და მიცვალებულის ჩატარებამდე, მოგეხსენებათ, რამდენი თავსატეხი ღონისძიებაა ჩასატარებელი.

დავიწყოთ თავიდან:

მოკვდა კაცი. (ღმერთმა გაანათლოს!) იწყება ცრემლის ღვრა...

— ცრემლის ღვრას მერეც მოესწრებით, — დაუტატანებენ ერთმანეთს ჭირისუფლები, — ჯერ ოფლის ღვრაა საჭირო!

და იწყება სეფის მოტანა და მოწყობა; პურის, ღვინის, სხვა სასურსათო პროდუქტების მოზიდვა და სადილების მომზადება ექვსი დღის მანძილზე მომდინარე სტუმრებისა და მოსამსახურე პერსონალის გამოსაკვებად; შემდეგ საქელეხო მაგიდების, სკამების გაწყობა, ქვაბების, ჯამ-ჭურჭლის, ბოთლების მომარაგება... ამ სამუშაოებს კი ხალხი ესაჭიროება. ქვემოთ მომყავს ციფრები, რომელიც თექვსმეტი მიცვალებულის დაკრძალვას დასჭირდა სოფელ გუფში:

1. ექვსი დღის განმავლობაში ყოველდღიურად გამოყოფილი იქნა 15 კაცი, როგორც მოსამსახურე პერსონალი. კოლმეურნეობიდან მოწყვეტილმა თხუთმეტმა კაცმა 90 კაცდღე შეადგინა.

2. დაკრძალვის დღეს 60 კაცი გამოიყო. ეს კი 150 კაცდღეს უდრის.

3. გაუთვალისწინებელი საქმეების მოსაგვარებლად, ჩვეულებისამებრ, დამატებით გამოყოფილ იქნა 50 კაცი... და საერთო ანგარიშში ერთი მიცვალებულის დაკრძალვაზე კოლმეურნეობამ 200 კაცდღე დაკარგა.

4. ამას დავუმატოთ 3000 მანეთი, რომელიც თვით გარდაცვლილის ოჯახმა გაიღო.

5. ამრიგად, ოჩამჩირის რაიონის სოფელ გუფის კოლმეურნეობა „აფსნმა“ 1969 წელს გარდაცვლილ 16 ადამიანის დაკრძალვაზე დაჰკარგა 3.200 კაც-დღე. ხოლო გარდაცვლილთა ოჯახებმა 48.000 მანეთი დახარჯეს.

— ალალი იყოს მიცვალებულებზე ეს ხარჯი! — იტყვით თქვენ. ამასვე ვიტყოდი მეც, ამ თანხიდან თუნდაც ერთი კაპიკი რომ მაინც მოხმარებოდა საბრალო მიცვალებულთ.

მერე და, რამდენი კეთილშობილური სამსახურის გაწევა შეეძლო ამ ფულს იმ ყოფილი ავადმყოფებისათვის, რომლებიც ამ ეამად მიწაში წვანან!..

ხარჯი ხარჯია, მაგრამ ახლა განსვენებულთა სახელის გამასხარავებას აღარ იკითხავთ?

ერთ ქელეხში თამადას მიცვალებულის სახელი დაავიწყდა და სიკვდილსაც დავიწყებიაო, — გამოასწორა შეცდომა.

მეორე ქელეხში, დასაფლავებამდე, მიცვალებულს ცოცხალივით ეძინა და ქელეხის თამადას — მკვდარივით.

მესამეგან ისეთი სიცილ-ხარხარი, ძანჭვა-გრეხა გაიმართა, რომ მკვდარი რომ არ ყოფილიყო, მიცვალებულიც მოკვდებოდა სიცილით.

ერთი სიტყვით, ქელეხი მიცვალებულს ვერ აცოცხლებს, თორემ ჭირისუფლებში მუდამ დიდი გამოცოცხლება შეაქვს...

ასეთ ვითარებაში, დამერწმუნებით, სულ რომ არ მოვკვდეთ, ისა სჯობს.

ღმერთმა დიდხანს გაცოცხლოთ, თქვენი ჭირიმე!

გაიოზ შავერზაშვილი

ნახ. გ. ფირცხალავასი

— რას ძძგბთ, შვილებო?

— რკინას, გაგუ!

— რკინას თუ ძძგბთ, ცოტა ქვევით ჩადით, სამი კომბაინია ჩამარხული!

ნახ. მ. აბაშიძისა

— კი ვუთხარი, თვითმფრინავის მოტორს ნუ დაუყენებ-მეთქი!

ᲬᲐᲛᲔᲑᲘᲡ ᲘᲐᲠᲐᲦᲔᲑᲘ

ნახ. გ. ლომიძისა



V საუკუნე

VII საუკუნე

VIII საუკუნე

XIV საუკუნე

XVI საუკუნე

XX საუკუნე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲓᲐᲛᲐᲚᲝᲑᲐᲜᲐ ᲗᲣ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲘ?

ა რ ს ე ბ ო ბ ე ნ საინტერესო პროფესიის ადამიანები. ისინი განსაკუთრებული ნიჭით არიან დაჯილდოებულნი. ჩვენი წერილის გმირები სწორედ ასეთი პროფესიისა გახლავთ.

ავიღოთ თუნდაც **ნასლედ სირაკანის ძე ქოსიანი.** წინასწარ მინდა აღვნიშნო, რომ ქოსიანის პროფესიის მქონე კაცს უნდა ჰქონდეს ქალთა გულების დატყვევების ჯადოსნური ძალა, მან ხომ ხუთი ლამაზმანი მოხიბლა, მათ შორის პირველი სამი ქალი გაცნობის დღესვე დაატყვევა და თავისი ფეხით წაიყვანა ჯვრის დასაწერად მაღალგუმბათიან ეკლესიაში.

პირველად მან სიყვარულის ბადეში **გორის რაიონის სოფ. კარალეთში მცხოვრები ვენერა იოსების ასული ნინიკაშვილი** გააბა. ქორწილის „ნამცეცობა“ ჯერ არ გამოლეულიყო, რომ ნასლედ დონ-ჟუანმა მეორედ დაიდგა ნეფის გვირგვინი და „კინტაურის“ ცეკვით გარს უვლიდა დედოფალ **მარიამ გრიგოლის ასულ ხაჩატურიანს.** გავიდა დრო. ვენერა ოჯახის მემკვიდრესა და მივლინებაში წასულ ნასლედს ელოდა. ნასლედს პირველი „ნასლედნიკიც“ შეეძინა, მაგრამ თვითონ ნასლედი გაუჩინარდა.

ქოსიანმა მეორე ქორწინებაზეც გული აიცრუა და მცირე ხნის შემდეგ მას ორი ცოლი და შვილი ეძებდა. დიდი ხნის შემდეგ ქოსიანს კაპიტანმა სულიკო გორგიშელმა მიაგნო წალკის მილიციის რაიგანყოფილებაში. მილიციის მუშაკმა იქვე გაიცნო დაკავებულის მეუღლე **ასტღიკ სედრაკის ასული კალტახჩიანი,** რომელსაც საყვარელ ქმართან „პერედაჩი“ მოეტანა. ნასლედა, ერთი წლის პატიმრობის შემდეგ, კვლავ წალკაშია, ამჯერად — ფურნის გამგედ. მის ძებნაზე ტომები იქმნება. ცრემლებს ღვრიან ცოლები, უმწეო ბავშვები ალიმენტებს თხოულობენ. ნასლედ სირაკანოვიჩი კი გეგმებს აწყობს ახალი ქორწინებისათვის. მისი ფიქრები ვინმე მარნეულელ მანდილოსანს დასტრიალებს თავს.

კვლავ მისი ძებნა... ქაღალდების კორიანტელი, განცხადებები, საბუთები, სხვადასხვა ეროვნების ცოლებისა და მათი შვილების დაუსრულებელი ცრემლების ღვრა, მილიციაში ყოველდღიური სიარული, ძებნილის ფოტოსურათების გამრავლება...

ნასლედ ქოსიანს ახლა საპატიმროში ვნახულობთ, სადაც იგი მოუთავსებიათ თბილისელ ბერძენ ქალთან ალიმენტის გადაუხდელობის გამო.

ნასლედ ქოსიანი 35 წლისაა, აქვს საშუალო განათლება, დაბალი სინდისის დონე და უმაღლესი გაქნილობა. იგი სამჯერ ალიმენტის გადაუხდელობაზეა პატიმრობაში ნამყოფი, ხოლო მეოთხედ და მეხუთედ სახელმწიფო ქონების მტაცებლობისა და ხულიგნობისათვის გაასამართლეს. ყველაფერი დროულად მოასწრო. აი, მეხუთედ გათავისუფლდა პატიმრობიდან. უკანასკნელად გაიბრძოლა თავისი პირველი ცოლ-შვილის დასარბევად: რას დამდევთ, ცოლის შერთვის საშუალებას რატომ მისპობთო. მართლაც ძნელია მარტოხელა კაცის ცხოვრება!

ქალთა გულების მომნადირებელთა პროფესიის კიდევ ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია გორში მცხოვრები **ახმედ აბაზ ოღლი.** მან, 30 წლის ასაკში, მხოლოდ 4 ცოლის გამოცვლა მოასწრო. ყველასთან თითო შვილი შეეძინა და ყველა ალიმენტის გადახდას ედავება. ახმედი არ უარყოფს, რომ მას ჰყავდა სამი ცოლი და ვალდებულია, სამ შვილს ალიმენტი გადაუხადოს, თუმცა ამაზეც ხშირად უნდა შეხსენება მილიციის მუშაკებისაგან, მაგრამ მეოთხე ცოლთან, კერძოდ **ნაზიბროლა გუდიევასთან** ცხოვრებას და მისგან შვილის შეძენას არ აღიარებდა, მაგრამ, როცა მეოთხე ცოლმა მისთვის პირველი ქმარი სახალხოდ გააშავა და დაუმტკიცა, რომ 8 თვეს ერთ ჭერქვეშ ცხოვრობდნენ, ახმედმა ხელი ჩაიქნია და განაცხადა: „კარგი, სადაც სამი ცოლი, იქ მეოთხეც მე დამაწერეთო“ და რაინდული სიამაყით ქამარი შემოიხსნა მისთვის ღირსეულ ადგილზე მოსასვენებლად.

ალიმენტის გადაუხდელობისათვის გაასამართლეს გორის რაიონის სოფ. ზერტში მცხოვრები **არსენ გრიგოლის ძე ტიელიძე,** დაბადებული 1938 წელს და მეჯვრისხევში მცხოვრები **ომარ რომანის ძე ხომასურიძე,** დაბადებული 1936 წელს. თუმცა ორივე ხანგრძლივი დროის განმავლობაში თამაშობდა საკუთარ შვილებთან დამალობანას, მაგრამ მილიციის მუშაკებმა „ქვესკნელში ჩაყლაპულნი“ შვილებს რამდენჯერმე მიჰგვარეს. რადგან მათ ტკბილი ცხოვრება არ ისურვეს და ბავშვის სარჩენის გადახდაზე უარი თქვეს, მილიციის მუშაკებმა, რომელთაც „სიბრალულის გრძნობა არ გააჩნიათ“, ამ „მგრძნობიარე ხალხს“ ბნელი ადგილები გამოუნახეს.

აღარაფერს ვამბობთ გორის რაიონის სოფლებში — ახალდაბასა და თედოწმინდაში მცხოვრებ **ტარიელ ბესარიონის ძე ზარხოზაშვილისა** და **აბაზ გუსაფ-ოღლის** შესახებ, რომლებიც ვალდებულნი არიან, ალიმენტები გადაუხადონ: პირველმა — **ციალა გიორგის ასულ განჯელაშვილს,** ხოლო მეორემ — **მანია აბრამის ასულ ნაროზაშვილს.**

მაგრამ, ვაი, რომ ზოგჯერ ვალდებულების შესრულებას ძალდატანება სჭირდება!

ᲨᲐᲚᲕᲐ ᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ოლის ქალაქ ჩოხაძე?

ნახ. ჯ. ფალავანდიშვილი

მამაჩემს ჩემი სალამი
ნახვის ნატვრით და კოცნითა!
რასა იქმ, როგორ გიკითხო,
უჩემოდ ხომ არ მოგწყინდა?
უშენოდ მეც აქ ისე ვარ,
როგორც ბატკანი უსარქლოდ,
თუმც უმაღლესში ვერ მოვხვდი,
მაინც არა ვარ უსაქმოდ.
თვითმოქმედ გუნდში მოვეწყვე
მთავარ მომღერალ-სოლისტად,
ჭაჭალაც ჩვენს ანსამბლშია, —
სერაფიონის ცოლისდა.
რა ვქნა, ნუ მიწყენ: სად სოფლად,
კაცი — ცხვარსა და ძროხაში,
სად კიდევ ცენტრში, სცენაზე,
გამოწკეპილი ჩოხაში!
ის აღარა ვარ, სოფელში
რომ მეძახოდნენ ბენტერას,
გილოცავ დაბადების დღეს,
შრომის და ომის ვეტერანს!
ოც მაისს მანდ ვარ, ანსამბლიც
თან მომყავს, შენი ხათრითა,
სამოც კაცამდე ვიქნებით,
შენი და ჩემი ჩათვლითა.
ღვინო ას კაცზე განსაზღვრე,
მეტი ჯობია დაკლებას, ,
ტყემალს აქედან მოვიტან,
მანდ ნუ დაუწყებთ დაკრეფას.
გოჭები შეწვით შამფურზე,
კარგად გატენეთ ბრინჯითა,
ინდაურებიც დაკალით,
ხელზე ნასუქი, ჭინჭრითა.
წიწილებს, ალბათ, ვერ დაკლავთ,
ან რა გემო აქვს ჩიორას?
არა უშავს რა, რას იზამ,
ქათმებით წავალთ იოლას.
ხაჭაპურებიც დააცხვეთ
პატარ-პატარა კეცებში,
კარგს იზამთ, ჭადსაც თუ
ჩართავთ
ამ გამზადებულ რეცეპტში.
სუფრა ეზოში გაშალეთ,
იზაბელების თალართან,
თან დავეტევით, თან კიდევ
ახლოს ვიქნებით მარანთან.
სხვა რა მოგწერო? რა მახსოვს
სამზადის-მიხლა-მოხლაში,
ერთი სული მაქვს, მამილო,
როდისა მნახავ ჩოხაში!

გრიგოლ ჩიქვილაძე

— *წამოდი ფეხბურთზე!*
— *ვერ წამოვალ, 7 საათზე გიორგი სადოქტოროს იცავს.*
— *წამოდი, კაცო, 7 საათამდე აკადემიკოსი გახდება!*

ყურადღება, ყურადღება!

ამხანაგო „ნიანგის“ მკითხველებო! კოლმეურნეობის თავმჯდომარის მაგიდაზე ავადმყოფობის ცნობის ძლიერი დარტყმით თაღლითა სიმულიანტის ძე ვაჭარაძემ მშვენივრად მოიგერია ხუთოყიანი თოხი და სომინდის ფართობიდან მთელი სისწრაფით გაიჭრა რაიონის ცენტრისაკენ. აქ, კომბინატორთა ძირითად შემადგენლობაში, შესანიშნავად აითვისა სისტემა — „ორი ღირს, მაგრამ ოთხს ვახდევინებ“.

მოატყუა ერთი, მოატყუა ორი, მოატყუა სამი, მოატყუა ბევრი, რითაც მალე მოიხვეჭა

მომხმარებელთა ჯიბეების ყველაზე აგრესიული და შედეგიანი თავდამსხმელის სახელი.

მოედნის კარგი ხედვის წყალობით, რაიონის შუაგულში, შეარჩია სამოსახლო ადგილი რომლის ნახევრადდამცველ ადვილად მოუგო საჰაერო ბრძოლა ადმინისტრაციული შენობის მეორე სართულზე და, „ადნოკასანიეს“ წესით, უსწრაფესად აიშენა ორსართულიანი სახლი .მერე გვერდითი ხაზიდან უფროს ვაჟიშვილს ნელა მიუგორა ავტომანქანა „ვოლგა“.

ამჟამად, ცოლის სასტვენის ხმაზე, ცდილობს თამაშგარე მდგომარეობიდან უფრო გაზარდოს ანგარიში. დირექტორის კაბინეტის მოსაცდელში დამაჯერებელი მოძრაობით გაარღვია კონკურენტების ყრუ კედელი: ახლა მას ვერავინ უშლის ხელს, მის წინ მხოლოდ დირექტორია. აჰა, უბის ჯიბიდან ფილიგრანულად ამოიღო ასიგნობების დასტა და, დაახლოებით ერთი მეტრიდან, ზუსტად ჩაუთვალა სეიფთან ხელსაყრელ მდგომარეობაში მყოფ დირექტორს. ამ უკანასკნელმა, წლების განმავლობაში გამომუშავებული ოსტატობით მოათავსა თანხა პირდაღებული სეიფის მარცხენა მაღალ კუთხეში.

შემდეგ ხელის გულზე ცაციას დარტყმა... საპასუხო დარტყმა... და თაღლითა ვაჭარაძე საწყობის კარებს გადაეხვია.

ამჯერად, რაიონის ქვეჯგუფში, ხუთი კუბმეტრი ფულის დაგროვებით თაღლითამ გაინაღდა საბურთალოს მასივში სამოთახიანი ბინის მიღების საგზური, მაგრამ...

P.S. ეს-ეს არის, საინტერესო ცნობა მივიღეთ კოლმეურნეობის — „მხოლოდ ოფლითა შენითა“ — გამგეობის სხდომიდან, რომელმაც გაასაჩივრა თაღლითას საეჭვო თამაშები და დაუნიშნა დამატებითი შეხვედრა საგამომძიებლო ორგანოებთან.

ამ პასუხსაგები მატჩის ობიექტურად მსაჯობისა და თაღლითას დამარცხების შემთხვევაში, ყველაფერს გადაწყვეტს თერთმეტმეტრიანი საჯარიმო დარტყმა .ვნახოთ, რას მოგვიტანს დარჩენილი დრო!

ია გიაძე

იგავები ორალიტაჩრეს

მდიდარი და ჭურდები

ერთ კაცს მდიდარი ძუნწის სახელი ჰქონდა გავარდნილი. ქურდები ოცნებობდნენ იმ კაცის გაძარცვაზე.

ერთ ბნელ ღამეს სამნი შეიპარნენ მდიდარი კაცის ბინაში, მწოლიარეს ხელ-ფეხი შეუკრეს და რომ არ ეყვირა, პირში ხელსახოცი ჩასჩარეს. კაცს ზემო-ქვემო ყბაზე პროთეზები ჰქონდა, არც ერთი საკუთარი კბილი არ გაჩნდა. პროთეზები ყელში გაეხირა და მოაშთო კიდეც.

მორალი: მოუარეთ კბილებს, ნუ იქნებით პროთეზის იმედით!

ფხიზელი რევიზორი

ერთ მშენებლობაზე რევიზორი მოვიდა. სამუშაოთა მწარმოებელმა მუშების სია აჩვენა. რევიზორი დაეჭვა არტემ ხარლამპის ძე ქემოკლიძის პიროვნებამ. იგი წამით დაიძაბა და ფენომენალურ მეხსიერებაში ზუსტად აღადგინა ერთი წლის წინათ წაკითხული ტექსტი:

„ამა და ამ, ამისა და ამის, ამნაირი და ამნაირი ბაზის, ესა და ეს თანაშშრომლები იუწყებიან

არტემ ხარლამპის ძე ქემოკლიძის

გარდაცვალებას“.

ასე აღმოაჩინა ფხიზელმა რევიზორმა მკვდარი სული მშენებელთა სიაში.

მორალი: იკითხეთ სამგლოვიარო განცხადებები გაზეთის მეოთხე გვერდზე!

დაკარგული ჭაბუკი

უგზო-უკვლოდ დაიკარგა სიცოცხლით სავსე, მჩქეფარე ენერგიის, დიდი იმედების აღმძვრელი ჭაბუკი. საქმეს ხელი მოჰკიდა ფრიად და ფრიად გამოცდილმა გამომძიებელმა. მან ძიება დაიწყო იმ პალტოს ჯიბეების გასინჯვით, რომელიც ჭაბუკს ამხანაგთან დარჩენოდა წინაღამის ღრეობის შემდეგ. ძიებას გეზი მისცა ტროლეიბუსის ბილეთმა რომელიც პალტოს მარცხენა გარეთა ჯიბეში აღმოჩნდა. დადგინდა, რომ ჭაბუკი იმ ღამეს იმყოფებოდა № 4 მარშრუტის ტროლეიბუსის ბოლო გაჩერებასთან, მრავალსართულიანი სახლის ერთოთახიან ბინაში...

მორალი: საქალაქო ტრანსპორტით მგზავრობისას შეძენილ ბილეთს ნუ აჩუქებთ კონდუქტორს, ჩაიდეთ იგი პალტოს გარეთა მარცხენა ჯიბეში!

მოტაცება

ერთ პირმშვენიერ ჭაბუკს უგონოდ უყვარდა ერთი ტანკენარი ქალიშვილი. ქალის მშობლები კატეგორიულ უარზე იდგნენ. იქამდეც კი მივიდნენ, რომ ქალი სახლში ჩაკეტეს. ვაჟმა უკიდურეს საშუალებას მიმართა: ნაშუადამევს, მალულად გამოაპარა ქალი მამისეული სახლიდან და ლატარიის ოცდაათკაპიკიანი ბილეთით იმხანად მოგებული „ზაპოროჟეცით“ ქალაქგარეთ გაიტაცა.

მორალი: იყავით მობილიზებულნი, შეიძინეთ ლატარიის მომგებიანი ბილეთები!

მამის გული

ერთ კაცს ოთხოთახიანი ბინა და ორი ვაჟი ჰყავდა. როცა ვაჟები წამოიზარდნენ, დაცოლშვილდნენ და ვერ შეეწყვნენ ერთურთს. ორი ოთახი ერთმა ვაჟმა მიიტაცა, ორიც — მეორემ. მამის გულმა ვერცერთი ვაჟი ვერ დათმო და მთლად უბინაოდ ყოფნა არჩია.

მორალი: ნუ იქნებით ყურწაგდებულნი და არხეინნი, იქონიეთ ხუთოთახიანი ბინა.

ლევან ჩანტლაძე

რა კარგია ჩემი სოფელი

ვახსენებთ აფხაზეთს თუ არა, იმ წამსვე თვალწინ წარმოგვიდგება ჩაის ბუჩქებივით ხასხასა ზღვა ,ზღვასავით ვრცელი აქოჩრილი ჩაის ბუჩქები, ტანკენარი პალმები, მოასფალტებული გზები, მცხუნვარე მზე და მის ქვეშ გასარუჯად მოტრიალე დედიშობილა ადამიანები. მაგრამ არის არანაკლებ მშვენიერი მეორე აფხაზეთი, სადაც არ არის ზღვა და პლაჟი, სადაც მთანი მაღალნი დგანან და ელიან: კარგ გზას, ექიმსა და ექთანს, ხიდს, ტელეფონსა და რადიოს. აი, ასეთი სოფელია ნაალი, რომელიც კოლმეურნეობის კანტორიდან რვა კილომეტრითაა დაშორებული. აბა, ამ მანძილზე ვინ იტყვის, შორიაო, მაგრამ ისეთი გზაა სოფელსა და კანტორას შორის, რომ ერთთიორად დიდი მოჩანს.

ნაალელებს სამედიცინო პუნქტიც აქვთ, მაგრამ.. მედიცინის მუშაკი არა ჰყავთ, და დგას პუნქტი, როგორც წითელი ჯვრის სიმბოლური ძეგლი.

ოთხმოცდაათი ბავშვი დადის ნაალიდან გულრიფშის რაიონის სოფ. განახლების საშუალო სკოლაში, მაგრამ, ვაი, ასეთ სიარულს! ვიდრე კოდორი პაგარა კალაპოგშია, ბავშვები აიკაპიწებენ შარვლის ტოტებს და გადიან მდინარეში, მაგრამ როდესაც კოდორი მოდიდდება, გაღმით სკოლა რჩება და გამოღმით — მოსწავლეები. ასე, კოდორის ნება-სურვილზეა დამოკიდებული ბავშვების სწავლა-განათლება .ისე კი კოლმეურნეობას ვერ ვუსაყვედურებთ, მან ჯერ კიდევ 1968 წელს ცხრა ათასი მანეთი გამოჰყო ხიდის მშენებლობაზე, მაგრამ ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ მშენებლები, ვერ გაიგეს და ხიდი ისევ ჩაგეხილია სკოლასა და ბავშვებს შორის.

წავიდა ის დრო, როდესაც ტელეფონი და რადიო ფუფუნებად ითვლებოდა და, თუნდაც ფუფუნება იყოს, ნაალის ბრიგადას იმდენი ფული და მუშახელიც კი ჰყავს, რადიო რომ აალაპარაკოს, ააწკრიალოს ტელეფონი, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ საქმის თავისმომბმელი არ ჩანს.

სამაგიეროდ, ბუნებამ მომჭირნეობის გარეშე დააბანდა თავისი სიმდიდრე ნაალში და ერთ მშვენიერ დღეს გეოლოგების მიერ დარგყმული ბურღის ადგილას თბილმა წყალმა იფეთქა.

გაუვარდა სახელი სოფელ ნაალს (ისე, როგორც ერთ დროს — ლუგელას) აქაური თბილი წყალი ყველაფერს არჩენსო და, პრიმიტიულად მოწყობილი აბაზანები გაივსო სხვადასხვადაგნოზიანი ავადმყოფებით, ჯერ-ჯერობით კი არავინ ასულა აქ, რომ დაადგინოს ამ წყლის ავკარგიანობა, თუმცა მეორე ბრიგადის ხელმძღვანელმა ალიოშა გორდილავამ რამდენიმე წერილი მიწერა ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებს. ბოლოს და ბოლოს თვით ალიოშა გორდილავამ დაიწყო ცდები და ნორჩ თამბაქოს ჩითილებში მიუშვა თბილი მინერალური წყალი. ცდამ წარმატებით ჩაიარა, თამბაქოს ჩითილებმა თავი მოიწონეს, ახლა აქ თამბაქოს არც ფერი ეკარგება და არც ავადმყოფობა ემართება. მაგრამ, ვინ იცის, უხდება კუჭის წყლულს ან სკლეროზს ეს აბაზანები? ვინ გასცემს ამ კითხვაზე პასუხს?

ასეა თუ ისე ,ნაალელებს მაინც უყვართ თავიანთი სოფელი და ამიტომაც მღერიან: „რა კარგია ჩემი სოფელი...“

კონდრატე უბილავა

— ჩამო-მეთქი! არ ამომიყვანო მანდა!

ნახ. ა. გორდეზიანისა

საქეიფოდ ჰერი, ჰერი!

გაგიცხადებიათ ოჯახში, საქეიფოდ მივდივარო, თუკი ცოლი მოძველებული შუბით დაგიდით, თუკი ნისიად გამოგანილი ტელევიზორის ფული შესატანია და ბავშვებისათვის გამოწერილი სათავგადასავლო ლიტერატურის ხუთი ტომი გამოსატანი? თუ გაგიცხადებიათ, ბარაქალა თქვენს ვაჟკაცობას! მე კი ვერაფრით გამიბედავს ამის თქმა. გუშინწინ სამსახურში პრემიები დაარიგეს და გადავწყვიტეთ: შაბათს, ესე იგი დღეს, სასტუმრო „ივერიის“ რესტორანში მოგვეყარა თავი. ცოლების გარეშე, რასაკვირველია. აბა, რომელი კაცური კაცი ეტყვის ცოლს, პრემია მივიღეო?.. ჯამაგირისგან რომ გვასუფთავებენ, ის არ კმარა?

დავბორიალობ საშინაო ტანსაცმელში გამოწყობილი და ჭიანჭველასავით მოფუსფუსე ცოლს ვუთვალთვალებ .საათის ისრები შეუბრალებლად მიიჩქარიან, უკვე თორმეტის ნახევარია, შეკრება კი თორმეტი საათისთვის გვაქვს დათქმული. ნეტა, გამოვიდნენ ბიჭები თუ ჩემსავით ისევ სახლში ყურყუტებენ?

ვურეკავ ვახტანგს — „კბილის ექიმთან წავიდაო“, — მეუბნებიან.

ვრეკავ სერგოსთან — „მშობელთა კრებაზე“ აღმოჩნდა წასული.

ბიძინა „პარკეტჩიკების“ საძებნელად გასულიყო .„ახალი ბინა მივიღეთ, ცუდი პარკეტი აგია და ხელახლა უნდა დააგებინოსო“, — ამიხსნა მისმა ცოლმა ნანულიმ.

მიგოს რაღაც „გადაუდებელი საქმე“ გამოსჩენოდა სამსახურში.

ბრალი მე, რომ ტყუილის თქმა არ მეხერხება, თორემ ისინი სასეგაბრწყინებული დგანან, ალბათ, „ივერიის“ წინ და ჩემს ლოდინში ანეგდოტებად იცლებიან.

კიდევ რამდენიმე წუთი და მე გულახდილად ვეუბნები ცოლს, რომ... მგვერსასრუტის გაუთავებელმა ბზუილმა ყური წაიღო, ორპირმა ქარმა ჭვალი გამიჩინა და პარკეტს სულაც არ ჭირდება ასე უსაშველოდ გაპრიალება — აკი დაეცა ამას წინათ სოფლიდან ჩამოსული დედაჩემი. რომ... საუზმემ მუცელი ამატკივა, ახალი გაზეთი ვიღაცას დაუხევია და ბოცაში ჩასხმულ ღვინოს ბრკე მოჰკიდებია, რადგან თავი მაგრად არ ჰქონდა დაცული. რომ... ბავშვებმა მეცადინეობას უკლეს და დიასახლისს შინ ისევე კოსტგად უნდა ეცვას, როგორც უცხოელ დიასახლისებს აცვიათ საზღვარგარეთულ კინოსურათებში.

მოკლედ, იმდენი ვქენი, ცოლმა თვითონ გამაგდო სახლიდან.

გურამ შარაშიძე

— აქ, სადღაც ახლოს, კლაქი უნდა იყოს, თემურ ბატონო!

ნახ. ბ. ფირცხალავასი

ნაცნობები

(მინიატურა)

ქუჩაში ორი ნაცნობი შეხვდა ერთმანეთს.

პირველი: სიმონ, შე ძველო, რავა ხარ? წამო, ას-ასი დავლიოთ!

მეორე: ვინაა შენი სიმონი? ბატონი სიმონ ზახარიჩი დამიძახე!

პირველი: მაპატიეთ, არ ვიცოდი, მომილოცავს!

მცირე ხნის შემდეგ ნაცნობები კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს.

პირველი: უღრმესი სალამი ბატონ სიმონ ზახარიჩს, როგორ ბრძანდებით, პატივცემულო?!.

მეორე: მოეშვი, თუ ძმა ხარ, ოვაციებს და წამო, ას-ასი დავლიოთ!

პირველი: აჰ, უკვე?..

ზურაბ მამულაშვილი

სამათ შაქირი

(თათრეთის ასსრ)

ქვა და ჭიანჭველა

ჩაუქირქილა ქვამ ჭიანჭველას:
„მე გვერდს მივლიან კრძალვით და რიდით,
შენ ვერვინ გამჩნევს და ყველა გთელავს, —
ეს იმიტომ, რომ არა ხარ დიდი!“
ჭიანჭველამ კი ეს უთხრა მარტო:
„დიდი ის არის, ვინც შრომობს, იბრძვის“.
ქვას გაეცინა: „სულელო მატლო ,
ვერ ამაღლდები მაგ შენი სიბრძნით!“
ხავსში ეძინა ქვას — მუდამ მოცლილს,
გაიღვიძა და დარდით დაბერდა:
აღმართულიყო მის გვერდით ბორცვი,
ზედ ჭიანჭველა კოშკებს აგებდა.
ქვას სიბრაზისგან გული გაუსკდა,
ტანი ქარ-წვიმამ დაშალა, დაღრღნა...
მყრალ მიწად იქცა, მატლი გაუჩნდა,
ბორცვი იწევდა მაღლა და მაღლა.

თარგმნა **ბათუ მელიამ**

ეროვნული ბიბლიოთეკა
368/70
9.VI



ნახ. ვ. აბაშიძისა

— ჩემი აზრით, არქიტექტურულად შესანიშნავადაა გადაწყვეტილი ფეხსაცმლის ფაბრიკის შესასვლელი.



ზოგიერთი მშობელი, ნაცვლად იმისა, რომ ხელს უწყობდეს მასწავლებელს ჩამორჩენილი ბავშვის გამოსწორებაში, ხელს უშლის.

— თქვენ ჩივით, რომ ჩემი გავშვი სუსტი მოწაფეა; გავშვი ჩივის, ჩემი მასწავლებელია სუსტი. რომელს დაგიჯეროთ, აღარ ვიცი!

...ბურთი ფეხზე

ლაპარაკობს მეხიკო! ლაპარაკობს მეხიკო! „აცტეკის“ სტადიონზე დღეს რისი ნემსი, ატომი რომ ატომია, ისიც ვერ ჩამოვარდება (მადლობა ღმერთს!). კაჩალინმა, როგორც ეტყობა, მექსიკელთა ძალისმიერ თამაშს ჭკუისმიერი (აფსუს, ჭკუასელო!) თამაში დაუპირისპირა. აკლიმატიზაცია მეტნაკლებად ყველამ გაიარა, მაგრამ თუ კახა (186 სმ) ჟანგბადის ნაკლებობას საჰაერო ბრძოლებში მაინც განიცდის, სამაგიეროდ გივი ნოდია (170 სმ) ჩიტივითაა.

როგორც ვრწმუნდები, ძალა აღმართს ფეხბურთში მაინცდამაინც კარგად ვერ ხნავს. მაინც მოზვერივით გამოქანდა მექსიკელი გონზალესი და გონზე მოსვლა არ აცალა, ისე აჭამა თაური ასათიანს (კინაღამ გამახსენდა მოსკოვის „დინამოს“ თავდამსხმელი ჟუკოვი, მაგრამ ჟუკოვის გახსენება უნებურად ბესკოვის ასოციაციებს ბადებს ხოლმე, ამიტომ არც ერთს აღარ ვიხსენებ).

კახა დაიჯაბნესო და... ძუასავით დაიძაგრა ძოძუაშვილი, მოსწყინდა თავაზიანობა მურთაზს, გაავდა სლავა, გავარდა გივი!

ასე არ უნდაო (ალბათ გულში ჩაიხვია ასათიანმა) და მექსიკის გუნდის მწვრთნელ კარდენასის თვალწინ ასი ცხენის ძალით დარტყმულმა ბურთმა კი არ გახია, გაგლიჯა ბადე (კიდევ კარგი, ამ მატჩს სტრელცოვი არ უკეთებს კომენტარს, თორემ ედუარდი იმასაც კი იტყოდა, ბადე თამაშის დაწყებამდე იყო გაგლეჯილიო).

რა ხდება სტადიონზე? კი, ბატონო, მოგახსენებთ: მექსიკელთა გულთბილობისა და სტუმართმოყვარეობის სიმბოლოს, ეროვნული ნაკრების სასაცილო ფორმაში გამოწყობილ არწივის მართვე „პიკოს“ (ამ სურათის შემყურეს) ღაპაღუპით სცვივა ცრემლები. უკეთესი დღე, მგონი, არც კარდენასს ადგას. ვინ იცის, იქნებ ისინი იმ 40 მილიონ მექსიკურ პესოსაც დასტირიან, მსოფლიოს IX ჩემპიონატის სამზადისს რომ დაახარჯეს...

და, აი, ის სანატრელი დღეც — ფინალი: სსრ კავშირი — ბრაზილია. თამაშის დამთავრებას აკლია ხუთი წუთი. 2:2. სტადიონი თანდათან იყინება მექსიკის მცხუნვარე მზის ქვეშ.

ჯერ ფეხო და ფეხო, მერე მწვრთნელო და გუნდოო, — თქვა პელემ და, ჰოი, საოცრებავ, ვერ გაიტანა ნაღდი გოლი.

ჯერ გულო და ერო, მერე თავო და ფეხოო, — თქვა გივი ნოდიამ და ცაციათი ცეცხლა ბურთი ცხრიანში!



ნახ. ა. ბერიძისა

უტექსტოდ

მეხივით გავარდა ეს ბურთი მეხიკოში... ცრემლების წვიმად გადაუარა ინგლისს, ბოღმით და ბრაზით დაახრჩო ბრაზილია... აქ კი, ტელეეკრანებზე, თქვენ ხედავთ ჩვეულებრივ, მომღიმარ კაცღმერთს ოქროს ქალღმერთით ხელში. იცანით, არა? ეს მისი უფეხბურთელესობა გავრილ კაჩალინი გახლავთ!

იხუვლეს ტრიბუნებმა და ჩვენი ბიჭები სადღეგრძელოებივით ჩამოატარეს სტადიონზე. ტელევიზორთან გაშლილ სახელდახელო სუფრასთან, ალბათ, თქვენც სვამთ საბჭოთა ფეხბურთელებისა და საკუთრივ ჩვენი „დინამოელების“ სადღეგრძელოს. სვამთ კი არა, ვინ იცის, იქნებ დაამღერეთ კიდეც მექსიკურ გიტარაზე...

კიდევ ბევრი საინტერესო რამ მოხდა დღეს მეხიკოში. ფიფას პრეზიდენტმა როუზმა სტრენცისის ჯინაზე ბახრამოვს (ტოფიკას) საკუთარი ხელით გადასცა ოქროს სასტვენი; ყველამ ამოიცნო სალვადორის ერთუცნობიანი (წამგებიანი) განტოლება; ბოლოს კი, როცა მექსიკის უკანასკნელმა სტუმარმა ჩემოდანი შეაგდო თვითმფრინავში, არწივის მართვე „პიკო“ პანღურის კვრით გამოაგდეს ვიტრინებიდან...

ახლა გულზე ხელი დაიდეთ და თქვით: ფეხბურთის ასეთ სპეციალისტ-პროგნოზისტს მეხიკოს ერთი საგზური მეკუთვნოდა თუ არა?

რამდენადაც ვიცი, ჩეხოსლოვაკიელი ფეხბურთელი ადამეცი თვითმფრინავს მოერიდა და გემით გასწია მექსიკისკენ. საგზური მოეცათ და გემით კი არა, ტურ ჰეიერდალის ტივით გადავცურავდი ოკეანეს...

პროგნოზრეპორტაჟი მიჰყავდა
ზაზა კაციაშვილს.



„ნიანგის“ საქამანდო პუნქტი ამით შეახსენებს შინაურ და გარეულ კორესპონდენტებს, ყველა აქტიურ მკითხველსა და დაინტერესებულ პირს, რომ მთელი წლის განმავლობაში ნებადართულია ნადირობა, რეწვა ყველა ჯურის გარეწრებზე: ყალბისმქნელებზე, წუნისმკეთებლებზე, მლიქვნელებზე, ბიუროკრატებზე, ხულიგნებზე, ლოთებზე, ნარკომანებზე და სხვა...

თითოეულ მონადირეს ნება ეძლევა მოიპოვოს ნებისმიერი „ნანადირევი“ განუსაზღვრელი რაოდენობით. დამუშავებული მასალები გთხოვთ გამოგზავნოთ ჟურნალ „ნიანგის“ საქამანდო პუნქტში, ყოველი თვის 10-სა და 25 რიცხვებში.

საქამანდო პუნქტი



სამშენებლო ორგანიზაციის ზოგიერთმა ხელმძღვანელმა ვერ გაითვალისწინა მდინარე არაგვის შესაძლო ადიდება და ღვთის ანაბარად დატოვა ძვირფასი მექანიზმები.

ჭუპა-ჭუპა, ილოვლივე,
ატყაპუნე ხელი, ფეხი,
შე კუდრაჭავ, შენს უფროსებს
გაუჩინე თავსატეხი.
აბა, წყალში დღის ნორმები
როგორ უნდა მოგიზომონ,
უწყალოდ წყალწაღებულო,
შე საწყალო რობინზონო!

ვ. კახელიშვილი

კლუგი სჭირდება ახატანს

ჰეი, თქვენ, ახატნელებო,
გაუმაძღრებო შრომითა,
მე თქვენი კლუბის ნახვა და
თვალის შევლება მომინდა.
მოვედი, ვნახე შენობა
ნარბევი, ნაპარტახალი,
ხსვების მაგივრად მე შემრცხვა,
გავწითლდი, როგორც ჭარხალი.
ამბობენ, ვიღრე კანტორა
ჰქონდათ საკლუბო ფართობად,
არც კინო შემოპკლებიათ,
არც კულტურული გართობა.
მაგრამ ხალხს როცა დაჰპირდნენ
ახალი კლუბის შენებას,
ძველს შემოსწყრნენ და იმ დღიდან
მოეშვნენ კინოს ჩვენებას.
ჯერ არც ახალი კლუბი ჩანს,
აღარც ძველს შერჩა „სინაზე“,
პირუტყვს დაუდევს შიგ ბინა
ზოგი მეტყველის ჯინაზე.
კედლებს ბალღები ხმარობენ,
როგორც საწერს და სახატავს,
სადა ხართ სოფლის თავკაცნო,
კლუბი სჭირდება ახატანს!

გრ. მეგზური
(დუშეთის რაიონი)

ქვის გული

ქალაქის მეშვიდე დასახლებაში, წულუკიძის ქუჩაზეც დადის ავტობუსი № 58. როგორ დადის, არ იკითხავთ? დადის დროგამოშვებით, კანტიკუნტად, ახალ-ახალ მთვარეზე. (დანიშნული ხუთი მანქანიდან მხოლოდ სამი, ხან კი ორი დაიარება) ასეა თუ ისე, მაინც დადის.

— სადა ხარ ამდენ ხანს, ადამიანო? — შესძახებენ შოფერს ლოდინით ცოცხალ-მკვდარი მოქალაქენი.

— პარიზში! სადა ვარ და აგერა ვარ! აბა, სანამ არ წავსულვარ, ჩქარა ავტობუსში!

...და იწყება ცირკი. ცირკი კი არა, უფრო საოცარი რამ: მილეთის ხალხი, რომელიც ათ დიზელშიც არ დაეტევა, ერთ ავტობუსში ცდილობს მოკალათებას.

— ვაიმე, ხალათზე ღილები მთლად ამაწყვიტეს! — ყვირის ერთი.

— შენ რა გიჭირს, მე შარვალზე დამაგლიჯეს ღილები! — ამბობს მეორე და ავტობუსის უკან გადის.

— მიშვილეთ, წელში ვწყდები! — კივის ქალი.

— ფერდებიდან ხელი აიღე, ადამიანო, მეღიტინება! — გაიძახის ვიღაც და სიცილით კვდება.

— ფრთხილად, კარს ვკეტავ! — აცხადებს შოფერი და ავტობუსს ერთბაშად სძრავს ადგილიდან.

— გააჩერე, შოფერ, ფეხები გარეთ დამრჩა!

— ეგ არაფერია, თავი ხომ გაქვს შიგნით?

— მე თავი დამრჩა გარეთ! — ჰყვირის მეორე გარედან.

— ვა, მაგას რა სჯობს, ერთის თავი და მეორის ფეხები, ეს მთელ კაცს უდრის. ჯანდაბას ერთი ბილეთი!

ავტობუსი კი მიჰქრის.

— შენ, ეი, შოფერ, დააყე მანქანა, კაცი იხრჩობა!

ავტობუსი ჩერდება. კარი იღება. გარეთ დარჩენილი თავი და ფეხები მგზავრებს შიგნით შემოაქვთ.

— ესეც ასე! — ამბობს შოფერი, — ახლა ხომ აღარაფერი გაწუხებთ?

ერთმანეთზე გადაფსკვნილ-გადახლართულ მგზავრებს კი ბევრი რამ აწუხებთ:

— ადამიანო, შეყვარებულივით რომ ჩამხუტებიხარ, ცოტა გაიწი!

— ჩემი შენ გითხარი და გული მოგიკალიო. მე კი ძალიან მეპიტნავები? ადექი და შენ თვითონ გაიწი!

— ვახ, რა ფრანგული მაკასინი გამიხვრიტა ამ ქალმა ფეხსაცმლის ქუსლის წვერით!

— გეტკინა?

— არა, მესიამოვნა! ხე ხომ არა ვარ?!

— ნეტავ, მართლა ხე ვიყო! — ინატრა პირველმა.

— ნეტავ, მეც! — ამოიკვნესა მეორემ.

— ნეტავ, მეც! — ბანი მისცა მესამემ.

— მეც, მეც! — აგუგუნდა მთელი ავტობუსი...

მოგეხსენებათ, არც ერთი მათგანი ხისა არ იყო. სისხლხორცეული ადამიანები იყვნენ და ადამიანურ ტკივილებს განიცდიდნენ.

ხისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ქვის გული კი, შესაძლოა, თბილისის მესამე ავტოსატრანსპორტო კანტორის იმ მუშაკებსა ჰქონდეთ, რომლებმაც ეს ხალხი ამ დღეში ჩააგდო.

გია აბუთიძე



მთავარი
რედაქტორი
ნოდარ დუმბაძე

სარედაქციო
კოლეგია:
ზ. გოლაძვაძე
(პ/მგ. მდივანი),
ს. კლდიაშვილი,
ნ. მალაზონია,
გ. ნიშნიანიძე
(მთავ. რედ.
მოადგილე),
ნ. შველიძე,
ო. ჭელიძე.

სატირისა და იუმორის
ჟურნალი „ნიანგი“.

თბილისი, რუსთაველის
პროსპექტი № 42.
Тбилиси, Сатирико-юмористический журнал «Нианги».
ტელ. რედაქტორის
99-76-69, რედ. მოადგილის
93-49-32.
საერთო განყოფილების
93-10-78.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა. ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ.

გადაეცა ასაწყობად
24/IV-70 წ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 22/V-70 წ.
ქაღალდის ზომა
70×108 1/8.
ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 1,
პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 1,4.
საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა,
თბილისი, ლენინის ქ.
№ 14.

ТИПОГРАФИЯ ИЗД-ВА ЦК КП ГРУЗИИ
ТБИЛИСИ, УЛ. ЛЕНИНА № 14
შეკვ. № 1364.
УЕ 02102.
ტირაჟი 129,700.

КОНТРОЛЬНЫЕ ЭКЗЕМПЛЯРЫ

ИНДЕКС 76137

— ბავშვებო, აქედან იწყება მტაცებლები!